„ყური დაუგდეთ, ასპინძის ადგილის დედა ჩურჩულობს...”

ლიდო ასათიანი

ასპინძის მუნიციპალიტეტი * მაისი. 2023 * (3)86

9 აპრილი — მახედ დაუვიწყარი დღე!

რა დროც არ უნდა გავიდეს, ქართველი კაცის მეხსიერებას ყოველთვის შემორჩება 9 აპრილი, დღე, რომელმაც ძირეულად შეცვალა ე.წ. სოციალისტური საქართველო და, რომელმაც, დასაბამი მისცა ახალი ცხოვრების – დამოუკიდებელი საქართველოს მომავალ არსებობას. 9 აპრილის ტრაგედია იმხანად მთელი ცივილიზებული სამყაროს ყურადღების ცენტრში მოექცა და რომელმაც ბიძგი მისცა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის დასაწყებად. მიუხედავად იმისა, რომ ამ დღეს უსისხლოდ არ ჩაუვლია, – სამშობლოს მომავალი კეთილდღეობისათვის ზვარაკად შეწირულთა სახელები ყოველთვის უჭკნობი შარავანდედით იქნებიან შემოსილები. საქართველოში არაა ქალაქი, დაბა, სოფელი თუ დასახლებული პუნქტი, სადაც ეს დღე არ აღინიშნება. ასე იყო ამა წლის 9 აპრილსაც, – ასპინძის მუნიციპალიტეტში სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის დაღუპული გმირები გაიხსენეს.

9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემად, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად 9 აპრილის მემორიალი გვირგვინითა და ყვავილებით შეამკეს.

დაღუპულთა სულების უკვდავსაყოფად პანაშვიდი ხვილიშის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვარმა - არქიმანდრიტმა მამა ზოსიმემ აღავლინა. მოსახსენიებელი პანაშვიდის შემდეგ თემატური ღონისძიება გაიმართა. ღონისძიება ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახურისა და ა(ა)იპ „ასპინძის სახელოვნებო და სამუზეუმო დაწესებულებათა გაერთიანება – კულტურის ცენტრის“ ორგანიზებით ჩატარდა.

14 აპრილი – ქართული ენის დღე

1978 წლის 14 აპრილს იმპერიულმა ძალებმა ყოფნა-არყოფნის სასწორზე დადეს ქართული სახელმწიფოებრიობა და ქართული ენის ბედი.

14 აპრილს ქართველმა ერმა დაიცვა არა „ქართული ენა, არამედ საქართველოს სახელმწიფო ენა.“ ახალგაზრდობა და ინტელიგენცია ქუჩაში გამოვიდა. საქართველოს მაშინდელ კონსტიტუციაში ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის სტატუსის დასაცავად, და არა – ქართული ენის დასაცავად...

ქართველმა ერმა გაიმარჯვა.

გამარჯვებული, თავაწეული გამოვიდა ქართული ენა საბრძოლო თალპიონიდან და სწორუპოვარი გამარჯვების ნიშნად 14 აპრილი ქართული ენის სახელმწიფო დღედ გამოცხადდა.

ქართველ კაცს საუკუნეების მანძილზე ახარებდა სითბო და სილამაზე მშობლიური ენისა, რწმენას უნერგავდა, იმედს უღვიძებდა ენა მდიდარი, ლაღი, ზღვასავით ულევი და დაუცხრომელი. მყინვარივით გულზვიადი და მუდამ მედგარი, წარბშეუხრელი.

საგულისხმოა ის, რომ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ერთადერთ სახელმწიფო ენად, ქართული ენა სამჯერ გამოცხადდა:

1991 წლის 9აპრილს – საქართველოს დამოუკიდებლობის აქტით;

1918 წლის 26 მაისს – საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის შემდეგ;

ჩვენ წელთაღრიცხვამდე 284 წელს – მეფე ფარნავაზის მიერ;

ისტორიული კოლხეთის დაცემის შემდეგ, მის ნანგრევებზე აღმოცენებულ ქართლში (იბერიაში) გავრცელდა სახელმწიფო ენა. ფარნავაზის დროს ძირითადად ექვსი ენა იყო: ქართული, ხაზარული, ასურული, ებრაული, ბერძნული და სომხური. „და ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლისა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა...“

ნიშანდობლივია ისიც, რომ იოანე ზოსიმეს (ქართველის) შემდეგ მსოფლიოს ყველა მართლმადიდებლური ეკლესია ლაზარეს აღდგინების დღეს (შაბათს) აღნიშნავს – 15 აპრილს, ქართული ენის დღის მეორე დღეს. ლაზარეს შაბათის მეორე დღეს კი აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული – 16 აპრილი იყო.

საოცარია, რადგან დაწერილია, რომ მეორედ მოსვლის ჟამს, მესია სწორედ ქართულ ენაზე მიმართავს მთელ კაცობრიობას.

ყველა ქართველი მოვალეა მუხლი მოვიყაროთ ელგუჯა ამაშუკელის მიერ შექმნილი ხელთუქმნელი ძეგლის წინაშე და ლოცვასავით წარმოვსთქვათ: გმადლობთ დედაენავ, რადგამ შენ გაგვინათე წყვდიადი!

ინგა მინაშვილი

გაიმართა ასპინძის ბრძოლის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება

20 აპრილს, ასპინძის ბრძოლის დღესთან დაკავშირებით, ასპინძის ომის ამსახველი მონუმენტური ძეგლი, ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტმა მეუფე თეოდორემ, სამცხე-ჯავახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის პირველმა მოადგილემ დავით ვარდიაშვილმა, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ სამხარეო ადმინისტრაციისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად გვირგვინითა და ყვავილებით შეამკეს. ღონისძიების ფარგლებში გაიმართა ადგილობრივ მეწარმეთა ნამუშევრების და პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა. დაბის ცენტრში მოწყობილ სცენაზე ჩატარდა ამ დღისადმი მიძღვნილი კონცერტი. დღესასწაული დამსწრე საზოგადოებას მიულოცეს ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტმა მეუფე თეოდორემ, სამცხე-ჯავახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის პირველმა მოადგილემ დავით ვარდიაშვილმა და ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ. 1770 წლის 20 აპრილს მომხდარ ასპინძის ომზე და აღნიშნული ღონისძიების მნიშვნელობაზე ისაუბრა ახალციხისა და ასპინძის საპატიო მოქალაქემ, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორმა, პროფესორმა, მერაბ ბერიძემ. ღონისძიებაზე მონაწილეობას ღებულობდნენ მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ასპინძის სახელოვნებო და სამუზეუმო დაწესებულებათა გაერთიანება - კულტურის ცენტრის“ ფოლკლორული ანსამბლი „წუნდა“, ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „სამცხე“ და მოწვეული ანსამბლი „ქართული ხმები“. აღნიშნულ ღონისძიებას ორგანიზება გაუწია ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახურმა.

მუნიციპალიტეტის საკრებულოში

მიმდინარე წლის 6 აპრილს გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა.

საკრებულოს სხდომის ფარგლებში დეპუტატებმა, დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები განიხილეს;

1. „ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა, საჯარო მოსამსახურეთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 16 დეკემბრის N44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

2. 2023 წელს ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების მონონების თაობაზე;

3. ასპინძის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის წლიური შესრულების ანგარიშის შეფასების შესახებ;

4. ასპინძის მუნიციპალიტეტის მერისათვის „მერების შეთანხმება კლიმატისა და ენერგეტიკისათვის მიერთების ფორმაზე“ ხელის მოწერაზე, თანხმობის მიცემის თაობაზე.

5. ასპინძის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ 2022 წელს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების ანგარიშის განხილვისა და შეფასების თაობაზე;

დეპუტატებმა საკითხები ხმათა უმრავლესობით დაამტკიცეს.

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ჯვარიძემ დეპუტატებს მიაწოდა ინფორმაცია:

1. ასპინძის მუნიციპალიტეტის მერის მიერ 2023 წელს N30-დან N42-ის ჩათვლით გაფორმებული ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

სხდომას უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე ბესო ბერიძე.

***

მიმდინარე წლის 18 აპრილს გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა

საკრებულოს სხდომის ფარგლებში დეპუტატებმა, დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები განიხილეს:

1. „ასპინძის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ” ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 16 დეკემბრის №47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

2. „ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა, საჯარო მოსამსახურეთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 16 დეკემბრის N44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

დეპუტატებმა საკითხები ხმათა უმრავლესობით დაამტკიცეს.

სხდომას უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე ბესო ბერიძე.

მაკა ბერიძე

ენის დღეს მიეძღვნა

ა(ა)იპ „ასპინძის ვ. მაღრაძის სამუსიკო სკოლის'' დარბაზში ა(ა)იპ „მთავარი ბიბლიოთეკის'' საბავშვო განყოფილების ორგანიზებით ქართული ენის დღესთან დაკავშირებით ჩატარდა ღონისძიება თემაზე „შენ ფუძეე ჩვენო –ენავ ქართულო''.

ღონისძიებაში აქტიურად იყვნენ ჩართულები ბიბლიოთეკის პატარა მკითხველები, რომლებმაც ისაუბრეს ქართული ენის მნიშვნელობაზე და წაიკითხეს ლექსები.

ღონისძიებას მუსიკალურად აფორმებდნენ ა(ა)იპ „ვ. მაღრაძის სამუსიკო სკოლისა'' და ივერიის საჯარო სკოლის მოსწავლეები.

აღნიშნულ ღონისძიებას ესწრებოდნენ ასპინძის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ლევან ბერიძე, საკრებულოსა და მერიის წამომადგენლებთან ერთად.

ნიგნიერების პოპულარიზაციისათვის

„აჩუქე წიგნი"– ასე ჰქვია კამპანიას, რომელიც საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ და მარკეტინგული და კორპორაციული კომუნიკაციების, CSR მიმართულება „ანაგრამამ" წამოიწყო და რომელიც 23 აპრილის „წიგნის ჩუქების დღედ" გამოცხადებას გულისხმობს.

ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახურის ინიციატივით, ასპინძის მუნიციპალიტეტი ყოველწლიურად მონაწილეობს ეროვნული ბიბლიოთეკის არაჩვეულებრივ წამოწყებაში.

ამ დღესთან დაკავშირებით ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახურის ორგანიზებით და ასპინძის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის უფროსკლასელთა მონაწილეობით გაიმართა აქტივობა სლოგანით – „აჩუქე წიგნი – აჩუქე თავგადასავალი'', რომლის მონაწილეებმაც ერთმანეთისათვის საგანგებოდ შერჩეული წიგნები გაცვალეს და ისაუბრეს სხვადასხვა ლიტერატურაზე.

ინიციატივის მთავარი მიზანი, ქვეყანაში წიგნისა და წიგნიერების პოპულარიზაციაა.

ჯეთილშობილური საქმე

საერთაშორისო „საქველმოქმედო ფონდმა ქართუმ" საჩხერის საშენი მეურნეობიდან სამცხე-ჯავახეთის მხარეს ადგილობრივი პოპულაციის აღდგენა-გამრავლების მიზნით კაკბები გადასცა, რომელთა გაშვებაც მოხდა ახალციხისა და ასპინძის მუნიციპალიტეტებში. მსგავსი ღონისძიება მომავალში სისტემურ ხასიათს მიიღებს. პოპულაციების აღდგენის მიზნით ასევე დაგეგმილია გნოლისა და კავკასიური როჭოს ბუნებაში გაშვება.

მალე ძველის საბავშვო ბაღს კეთილმოწყობილი ეზო ექნება

როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, ძველის, ჭობარეთის, ორგორისა და საყუდაბლის პატარა აღსაზრდელებისათვის გასულ წელს სოფელ ძველში აშენებული იქნა თანამედროვე, ევროპული სტანდარტების დონის შესაბამისი საბავშვო ბაღი. იმისათვის, რომ ჩვენი პატარების აღზრდისათვის ყველა პირობა შეექმნათ, ახლახან დაიწყო მისი საქმიანი ეზოს კეთილმოწყობითი სამუშაოები.

აღნიშნულ სამუშაოებს აწარმოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „ალმე'', რომლის სახელშეკრულებო ღირებულება 72 500 ლარს შადგენს.

პროექტით გათვალისწინებულია საბავშვო ბაღის ეზოში, 800კვ.მ. მიწის ნაკვეთზე, სათამაშო მოედნის, ბილიკებისა და საბავშვო გასართობი ატრაქციონის მოწყობა.

სამუშაოები აქტიურ ფაზაშია და განსაზღვრულ დროში დასრულდება.

დიაბეტის მართვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში

შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ ბავშვებს საჭირო სერვისებს სახელმწიფო უფინანსებს

დიაბეტის მართვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ ბავშვებს, საჭირო სერვისებს სახელმწიფო უფინანსებს, რისთვისაც 30 მილიონი ლარია გამოყოფილი.

პროგრამის გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა ეტაპობრივად იზრდება.

შაქრიანი დიაბეტის მქონე ბავშვებისთვის ფინანსდება მედიკამენტები;

უზრუნველყოფილნი არიან სისხლში გლუკოზის უწყვეტი მონიტორინგის სისტემებით და სენსორებით ((CGM);

ფინანსდება სპეციალიზებული ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურებით;

საანალიზო ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფა;

ენდოკრინოლოგის კონსულტაცია/მეთვალყურეობა;

გლუკოჰემოგლობინის განსაზღვრა კაპილარული სისხლით;

დიაბეტით გამოწვეული თვალის დაავადებების მონიტორინგი;

პროგრამის მოსარგებლეების და მათი მშობლების სამედიცინო განათლება;

ფიზიკური რეაბილიტაციის უზრუნველყოფა, პაციენტის სურვილის შემთხვევაში;

საჭიროების შემთხვევაში პაციენტისთვის, რომელთაც არ ესაჭიროებათ მედიკამენტის დოზის კორექცია, სამედიცინო ცნობის და რეცეპტის გაცემა და სხვა.

იმერეთების ჩამოსახლება ასპინძის რაიონში

ავთანდილ მაგრაქველიძე

როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, 1944 წლის ნოემბერში, საკავშირო მთავრობის გადაწყვეტილებით, სამცხე-ჯავახეთის რეგიონიდან შუა აზიაში გასახლებული იქნა მაჰმადიან მესხთა ოჯახები და მათ ნაცვლად, გეგმიური წესით, ჩამოსახლებული იქნა იმერეთისა და დუშეთის რეგიონებიდან მოსახლეობის გარკვეული ნაწილი. იმისათვის, რომ მომავალ თაობას წარმოდგენა შევუქმნათ იმ ეპოქალურ მოვლენებზე, გადაწყვეტილი გვაქვს პერიოდულად მივაწოდოთ ჩვენი გაზეთის ერთგულ მკითხველს ჩამოსახლებულთა მოგონებები, პირველადი ურთიერთობები ადგილობრივ მოსახლეობასთან და ა.შ. სადაც გვერ ისეთ ფაქტსაც ვიხილავთ, რომელიც მკითხველს უსათუოდ დაინტერესებს. ეს ხომ ჩვენი უახლესი ისტორიის ნაწილია, რაც დავიწყებას არ უნდა მიეცეს.

დღევანდელი ნომრის სტუმარია ავთანდილ მაგრაქველიძე, რომელსაც ესაუბრა ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი გიორგი ჯვარიძე, რომლის ჩანაწერები ნათელ წარმოდგენას შეგვიქმნის ეპოქაზე, რომელიც უკვე ისტორიის საკუთრებაა:

მაგრაქველიძეების და სხვა იმერელთა ასპინძის რაიონში ჩამოსახლების ისტორია ჩავიწერე დაბა ასპინძაში მცხოვრები, თერჯოლის რაიონის სოფელ სკანდეში დაბადებული, 81 წლის ავთანდილ ივანეს ძე მაგრაქველიძისაგან, რომელმაც გვიამბო ასპინძაში მისი ოჯახის გადმოსახლების ამბავი (მაშინ იგი მხოლოდ ორი წლისა იყო), რომელიც მას მოსმენილი აქვს როგორც პაპისა და ბებიისაგან, ასევე მშობლებისა და ახლო ნათესავებისაგან, რომელსაც დაინტერესებულ მკითხველს აქვე ვთავაზობთ:

ახალჩამოსახლებულები სოფ. ოთაში. 1950-იანი წლები

მაგრაქველიძეების წარმომავლობა და ისტორია

ჩვენი გვარის – მაგრაქველიძეების ფესვები რაჭიდან მომდინარეობს, კერძოდ: ონის რაიონის სოფელ ბარიდან; ჩვენი გვარის წარმოშობა თვით ჩვენს გვარშივეა საძიებელი, კერძოდ, იგი ნიშნავს – მაგარი+ქველი+ძე. ალბათ ქველი წინაპარი გვყავდა და გვარიც ასე წარმოიშვა. ჩემი პაპის პაპას სახელად ერქვა ნიკო, მას ჰყავდა 9 ვაჟი და 3 ქალიშვილი. ვინაიდან ონის რაიონის სოფელ ბარში მცირე მიწა ეჭირა, იგი ოჯახით გადმოსახლდა იმერეთში, ჩხარის (ახლანდელი თერჯოლის) რაიონის სოფელ მუჯირეთში. მისი 9 ვაჟიშვილიდან 5 უცოლშვილოდ გარდაიცვალნენ, ოთხმა კი ოჯახები შექმნეს, ასევე დაოჯახდნენ მისი ქალიშვილებიც; ოთხი ვაჟიდან ერთი საცხოვრებლად გადავიდა ზესტაფონის რაიონის სოფელ მეორე სვირში, ერთი სოფელ კვალითში, ხოლო მესამე სოფელ არგვეთში. სოფელ სვირსა და კვალითში დასახლებული ძმების შთამომავლებიდან დღესაც ყველა მაგრაქველიძეებად იწერებიან, ხოლო სოფელ არგვეთში მცხოვრები – მარაქველიძეებად. ჩვენ ისიდორე მაგრაქველიძის შთამომავლები ვართ, რომელიც სოფელ მუჯირეთში დარჩა საცხოვრებლად. ხოლო ონის რაიონის სოფელ ბარში, ძეგლებსა და ფუცეთში დღესაც ცხოვრობენ მაგრაქველიძეები. ჩვენი წინაპრები გლეხები იყვნენ და ყოველთვის სოფლის მეურნეობას მისდევდნენ. ძველ დროში ჩვენს გვარში გამოჩენილი კაცი არ გვყოლია, მხოლოდ ერთი – მამაჩემის ბიძაშვილი იყო მენშევიკების სამსახურში, რომელიც 1937 წელს დახვრიტეს. მისი სახელი აღარ მახსოვს. ვინაიდან სოფელ მუჯირეთშიც მიწის ნაკლებობა იყო, როგორც ვთქვი, პაპაჩემმა ისიდორე მაგრაქველიძემ სოფელ სკანდეში თევდორე ცინაძისაგან შეისყიდა დიდი მამული, გააშენა კარგი ორსართულიანი სახლი და ჩვენი ოჯახი იქ გადასულა საცხოვრებლად, შემდეგ რევოლუციაც მოხდა და მამულები ჩამოგვართვეს, პაპაჩემის ოჯახს, მხოლოდ სახლი და სახლის გარშემო ეზო დაუტოვეს სარგებლობაში.

იმერლების ჩამოსახლება

იმერეთიდან ასპინძის რაიონში მათი ჩამოსახლების ამბავი ავთანდილ მაგრაქველიძეს გაგებული აქვს, მშობლებისაგან – ივანე და ეკატერინე მაგრაქველიძეებისაგან. მათი გადმოცემით, 1944 წლის ნოემბრის თვეში ასპინძის, ახალციხის, ადიგენის და ახალქალაქის რაიონებიდან იმ დროინდელმა მთავრობამ (სტალინისა და ბერიას დავალებით), ადგილობრივი მაჰმადიანი ქართველები, ე.წ. თათრები, თარაქმები, რომლებსაც დღეს „თურქ-მესხებს“ უწოდებენ, ბებიაჩემი დარეჯან მაგრაქველიძე, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ ღრმად მორწმუნე იყო, გვიამბობდა: – ბარბარობის დღესასწაული როცა დგებოდა, მას ეს დღე ძალიან სძულდა, ანუ 1944 წლის 17 დეკემბერს, წინასწარ, დაგეგმილი ოჯახები აგვყარეს და ურმებით ჩაგვიყვანეს ქ. ზესტაფონამდე, ხოლო შემდეგ – საბარგო ვაგონებში შეგვყარეს და ახალციხემდე მატარებლით ჩამოგვიყვანეს, სადაც, საბარგო სადგურზე, დაგვხვდა სამხედრო ავტომანქანები და ზედ გადაგვაბარგეს და ასე აღმოვჩნდით სოფელ ოთაში, სადაც, მაღაზიის წინ გააჩერეს მთელი ავტო-კოლონა, თითოეულ ჩვენთაგანის ოჯახებზე კი საცხოვრებელი ბინები უკვე წინასწარ იყო დანომრილი, ნომრების მიხედვით დაგვირიგეს ბინები და შეგვასახლეს. გადმოსახლების დროს მხოლოდ ლოგინები და მოხმარების აუცილებელი საგნების წამოღების უფლება მოგვცესო. თითქმის ყველა საცხოვრებელი სახლი მიწური იყო, რომელსაც „გომურებს“ ვეძახდითო, მხოლოდ ორი-სამი თუ იყო ე.წ. „კრიშიანი“ სახლი, რომლებიც განაწილების დროს შეხვდათ ბუჩუკურებს, გრიგოლ ბუცხრიკიძეს და კიდევ ერთ ოჯახს, დანარჩენები მიწურებში დაგვაბინავეს. მხოლოდ გაზაფხულზე გადასულან იმერეთში ჩვენი ახლო ნათესავები და ფეხით გადმოურეკიათ ჩვენი საქონელი. ჩემი ბიძაშვილი – იაშა მაგრაქველიძე ამბობდა: – აბასთუმანზე გადავიარეთ და მერე ისევ იმ გზით დავბრუნდითო.

ბებიაჩემის გადმოცემით იმერეთიდან ჩამოსახლებას ექვებდებარებოდა თურმე მხოლოდ მრავალსულიანი და ღარიბი ოჯახები, ბრძანება ყოფილა, რომ ვისაც მართლა უჭირდა, არ ჰქონდათ საცხოვრებელი ბინები, ან ერთ სახლში რამდენიმე ძმის ოჯახი ცხოვრობდა და სხვაგან წასასვლელი არ ჰქონდათ, ამორჩევით, ოჯახში ერთი ძმა უნდა დარჩენილიყო და მეორე ძმა (ან ძმები) წამოსულიყო. ჩვენ არ ვექვემდებარებოდით გადმოსახლებას, რადგან, ჯერ ერთი, კარგი სახლიც გვქონდა და შეძლებული ოჯახიც ვიყავით, მაგრამ, როგორც ქართველებს სჩვევიათ, აქაც ყველაფერი მიკერძოებით მომხდარა. მაშინდელი „კომსომოლები“ ამ საქმეს ჩასდგომიან ავანგარდში და ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი ხალხი გადმოესახლებინათ იმერეთიდან მესხეთში, რომ ამით ესახელებინათ თავი ზემდგომის წინაშე. ამიტომაც არც ბრძანებას და არც მთავრობის დადგენილებას არ მიაქციეს ყურადღება და მასიურად აუყრიათ მოსახლეობა სოფლებიდან და ჩამოუსახლებიათ მესხეთში. იმ დროს ერთი ლექსიც გავრცელებულა წახალისების მიზნით:

„ყურადღება, ყურადღება, –
თუ არ გინდა მოგენატროთ
სიმინდი და ჭადი,
ადექით და ასპინძაში წადით“.

ჩვენი რაიონის აღმასკომის თავმჯდომარე ყოფილა სოფელ გონედან. მან თავისი სოფლიდან არც ერთი კაცი არ გადმოასახლა, გონეს მთელი მოსახლეობა ადგილზე დატოვა. სამაგიეროდ, სოფელ სკანდეს მთელი მოსახლეობა გადმოასახლა ასპინძაში.

მე გადმოსახლების დროს 2 წლის ვყოფილვარ და არ მახსოვს გადმოსახლება როგორ მოხდა, მაშინ დედაჩემი ეკატერინე მაგრაქველიძე 20 წლის იყო, ჩემი ძმა ამირანი 4 წლის. მამაჩემი კარგი ხელოსანი ყოფილა. იმ დროს ომში იყო და ფრონტის წინა ხაზზე გაუგია, რომ ასპინძის რაიონის სოფელ ოთაში გადმოუსახლებივართ. მასთან ერთად ფრონტზე იმყოფებოდა ორი ხიზაბავრელი, მათ უთქვამთ, რომ სოფელი ოთა ძალიან კარგი სოფელია და ნეტავი ჩვენი ოჯახებიც მაგ სოფელში დაგვხვდეს გადასახლებულიო. მამაჩემი ომის დამთავრების შემდეგ ჩამოვიდა სოფელ ოთაში. ვინაიდან იმერეთში მიწური სახლები არ არსებობდა, ამიტომ ჩვენს ხალხს ძალიან გაუჭირდა მიწურებში ცხოვრება, ყველას უკან დაბრუნება უნდოდა იმერეთში, მაგრამ ნებას არ აძლევდნენ, ჩამოსახლებულთაგან მხოლოდ 5%-მა მოახერხა უკან დაბრუნება, ჩამოსახლებულები წაგვახალისეს – თითოეულ ოჯახს პირად სარგებლობაში გამოუყვეს 0,75 ჰა ფართობის მიწის ნაკვეთი, ასევე დასაქმდნენ ხელახლა შექმნილ კოლმეურნეობებში. სოფელ ოთაში ჩამოგვასახლეს სკანდეს რაიონის სოფლებიდან (ამჟამად თერჯოლის რაიონი) მუჯირეთიდან და ზემო სკანდედან შემდეგი გვარები: მაგრაქველიძეები, ნემსაძეები, გოგნაძეები, აბესაძეები, მემენიშვილები, გურეშიძეები და კორტები, თითო ოჯახი იყო მუმლაძე, ბუცხრიკიძე, ჭულუხიძე.

დაბა ასპინძაში ჩამოასახლეს სკანდეს რაიონის სოფლებიდან – თავასიდან და ქვემო სკანდედან: ფოცხვერაშვილები, რიჟამაძეები, კირკიტაძეები, ცინაძეები, კენჭოშვილები, ფართლაძეები, ლოლაძეები, მარუაშვილები, კაპანაძეები, დიაკონიძეები და თურქაძეები.

სოფელ ოშორაში ჩამოასახლეს სკანდეს რაიონის სოფლებიდან: ძევერიდან, სეფარეთიდან, ზედა ალისუბნიდან და თხილაწყაროდან ბუცხრიკიძეები, აბულაძეები, სახელაშვილები, გიგაშვილები, მეფარიძეები, ჭანტურიძეები, კახიძეები და კობერიძეები.

1947 წელს ჩამოასახლეს მთიულები ასპინძის რაიონის შემდეგ სოფლებში: რუსთავში, იდუმალაში, ოთაში, ოშორაში, ხერთვისში, ორგორასა და საყუდაბელში, ხოლო 1978-1982 წელს ხულოს რაიონიდან – აჭარელი მოსახლეობა სოფლებში: რუსთავში, ოშორაში, გელსუნდაში, ივერიასა (რომელსაც ადრე ოსკერია რქმევია) და მირაშხანში.

დაბა ასპინძა. 01.05.1949 წ.
(ქეთევან ლოლაძის საოჯახო არქივიდან)

ჩამოსახლების შედეგები, ცხოვრება და ურთიერთობა ადგილობრივ მოსახლეობასთან

ჩამოსახლების პერიოდი, როგორც აღვნიშნე, არ მახსოვს, როგორც ვთქვი. მამაჩემი 1947 წელს ჯარიდან დემობილიზაციით დაბრუნდა და ოთაში მოვიდა, მართალია ომი ორი წლის დამთავრებული იყო, მაგრამ ქვეყანას სჭირდებოდა სამხედრო, ამიტომაც დაგვიანებით დაბრუნდნენ ომში გაწყვეულები. მაგალითად მიშა გოგნაძე ოთაში დაბრუნდა 1952 წელს. ამასობაში წამოვიზარდე და უკვე ყველაფერს ვაცნობიერებდი, ჩამოსახლებულ ოჯახებს სახელმწიფო წახალისების მიზნით აძლევდა გრძელვადიან უპროცენტო კრედიტებს, რომ ნორმალური სახლები გაგვეშენებინა და გომურებიდან გამოვსულიყავით, ეტაპობრივად მთელმა სოფელმა ახალი სახლები აიშენა და ნორმალურ ცხოვრებას შევუდექით. ჩვენ, იმერლებს, რომ ჩამოგვასახლეს, ასპინძის რაიონში დაგვხვდა ადგილობრივი მოსახლეობა, რომელიც ცხოვრობდა 11 სოფელში, დანარჩენი სოფლები ცარიელი იყო. მათი გადმოცემით, მაჰმადიანი მესხების გასახლებამდე ასპინძის რაიონში 65 მოქმედი სოფელი ყოფილა 54 ათასი მოსახლით. გასახლების შემდეგ 11 ქართული სოფელი დარჩენილა. დანარჩენი ცარიელი იყო, იმერლები სამ სოფელში დაგვასახლეს – ოთაში, ოშორასა და ასპინძაში. ადგილობრივ მოსახლეობასთან კარგი ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა. თავდაპირველად იმერლებსა და ჩამოსახლებულ მთიულებს შორის ადგილი ჰქონდა მცირე კონფლიქტებს ოშორასა და იდუმალაში, შემდეგ იმერლებსა და აჭარლებს – ოშორასა და ოთაში, მაგრამ სერიოზული შედეგები არ მოჰყოლია ამ კონფლიქტებს.

როცა სრულწლოვანი გავხდი, ავტომძღოლად დავიწყე მუშაობა და ხშირად მიწევდა ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობა, ეს ხალხი თავიანთ თავს ძირძველ მესხებს უწოდებდა, სხვებს კი მოიხსენიებდნენ კუთხეების მიხედვით. მაგალითად იტყოდნენ: მყავდა ერთი ზესტაფონელი იმერელი ამხანაგი ან საგარეჯოელი კახელი ამხანაგი, მაგრამ ხაშურელზე ან გორელზე, ანუ ქართლელებზე არ ამბობდნენ, რომ, მაგალითად, ხაშურელი ქართლელი ამხანაგი მყავდაო, სხვა დანარჩენები მათთვის თითქოს ნაკლებად ქართველები იყვნენ. ადგილობრივებისგან გავიგეთ, რომ ასპინძის რაიონში მათთან ერთად ცხოვრობდნენ თათრები, ქურთები და თარაქმები, ეს თარაქამა რა ერია, დღესაც არ ვიცი, რატომლაც დღეს მესხეთიდან 1944 წელს გასახლებულ მუსლუმანებს ყველას „თურქ-მესხებს“ უწოდებენ, ხოლო ადგილობრივებისგან თურქი მესხი არ გამიგია, მათთვის ყველა თათარია. მძღოლად მუშაობის პერიოდში არაერთხელ ვყოფილვარ მივლინებით კახეთში, ქართლში, შევხვედრივარ ერთად მცხოვრებ თათრებსა და ქართველებს, რომლებიც ერთ სოფელში ან მეზობელ სოფლებში ცხოვრობდნენ, მაგრამ მათ ერთმანეთი შეიძლება არ მოსწონდათ, მაგრამ არც სძულდათ, მაგრამ ასპინძის ადგილობრივი მოსახლეობა დიდი სიძულვილით იხსენიებდა მესხეთიდან გასახლებულ თათრებს. მე ასეთი მტრობა და სიძულვილი, როგორც ასპინძის ადგილობრივ ქართველ მოსახლეობას გააჩნდა თათრების მიმართ, არსად არ გამიგია და არც მინახია. ყოველთვის ვფიქრობდი, რა უნდა დაეშავებინათ ასეთი ქართველებისთვის, რომ ასეთი სიძულვილი ყოფილიყო. მიუხედავად ასეთი სიძულვილისა, ადგილობრივი მოსახლეობა ქორწილებსა და დღეობებში თათრულად მღეროდნენ. მახსოვს, 1966 ნელს, შოთა რუსთაველის 800 წლის იუბილე უნდა ჩატარებულიყო სოფელ რუსთავში და დიდი სამზადისი მიმდინარეობდა. თბილისიდან ჩამოვიდა ჯგუფი, რომლებსაც ადგილობრივი ქართული მოსახლეობისაგან ძველი სიმღერები უნდოდათ რომ ჩაეწერათ, მათთან მიმამაგრეს და დავყვებოდი სოფელ-სოფელ, მაგრამ ამაოდ. ყველა სოფელში გვეუბნეოდნენ, ქართული სიმღერები არ ვიციითო და თუ გინდათ თათრულად გიმღერებთო. ბოლოს სოფელ ჭობარეთში აღმოაჩინეს ერთი კაცი, მიხეილ ჯვარიძე, რომელმაც რამდენიმე ქართული მესხური სიმღერა იცოდა, ვინაიდან სიმღერები იყო ქართული მრავალხმიანი, ჯგუფმა ძლივს მონახა ერთი ადგილობრივი ზედგინიძე, რომელიღაცა სოფლიდან, რომელმაც ასევე იცოდა ეს სიმღერები. მიხა ჯვარიძემ, ზედგინიძემ და მე ერთად ვიმღერეთ სიმღერა „გეგუთისა მინდორზე“ და, კიდევ, რამდენიმე სიმღერა იყო, რომლებიც აღარ მახსოვს. თათრებს რომ ახსენებდნენ ადგილობრივები, ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, თითქოს გახსენებაც არ უნდოდათ. გვიყვებოდნენ, როგორ დახოცეს სოფელ ზველში 18 ვაჟკაცი და ასე შემდეგ. ზოგჯერ ადგილობრივებს ხუმრობით „აქოურ თათრებს“ ვეძახდით, რაზეც ძალიან ბრაზდებოდნენ.

ქართველების ჩამოსახლებამ მესხეთში ბალანსი აღადგინა. ადიგენის, ასპინძის და ახალციხის რაიონებში თათრების გასახლებამდე მესხეთში მცხოვრები მოსახლეობიდან ქართული მოსახლეობა 10 %-საც არ შეადგენდა, ამჟამად ადიგენის რაიონში 95% ქართველი ცხოვრობს, ასპინძის რაიონში 90 %, ხოლო ახალციხის რაიონში – მოსახლეობში 70% ქართველია. ეს კი სტალინის და ბერიას დამსახურებაა. ვინც რაც უნდა თქვას, თათრების გასახლება რუსეთის ინტერესებში შედიოდა თუ სხვა ვისმესი, ფაქტი ერთია, ამ ორი ადამიანის დამსახურებაა, რომ ისევ ქართულ მხარედ იქცა მესხეთი და დღეს არც ერთმა ადგილობრივმა ქართველმა, არათუ თურქული სიმღერა, არამედ ერთი თათრული სიტყვაც აღარ იცის, აღარფერს ვამბობთ ჩვენზე, აქ ყველაფერი ქართულია და ღმერთმა საქართველოს ყველა კუთხე ისე გაავსოს ქართველებით, როგორც დღეს ასპინძის რაიონია ქართველებით დასახლებული.

ჩაიწერა **გიორგი ჯვარიძემ**
2023 წლის 23 მარტს

მატიანე



ე. შევარდნაძე, ჯ. პატიაშვილი და თ. პატიაშვილი ვარძიის მიდამოებში. 1978 წელი. სურათი მოგვაწოდა ქეთევან ლოლაძემ

თქმულება

გაღმოცემა ერეკლე მეფეზე

ერეკლე მეფე ასპინძის ომზე რო ჩამოსულა, ფესი ხურებია. სოფელ ოშორას რო გამოუვლია, იქ ერთი სოფლის გოგო ბალს მოჰკრეფს და მიაწოდებს ჯარების უფროსს. უფროსი დაასაჩუქრებს და ეტვის: უკან მეფე მოდის, მიუტა ხილი და უფრო მეტ საჩუქარს მოგცემსო. მართლაც მეფე რო გამოივლის, ეს გოგო გადააგდებს ხილს, მაგრამ რო დაინახამს ფესი ხურამს, შეეშინდება და უკან გაბრუნდება. მეფე ეტყვის: რატომ გაბრუნდიო? გოგო მიუგებს: შენ მეფე არა ხარ, შენ თურქი ყოფილხარ, ჰარამია შენზე ქართული ხილიო. მეფე მოიხდის ფესს, გახევს და გადააგდებს და ამ გოგოს დაასაჩუქრებს. ამის შემდეგ გაილაშქრებენ ასპინძაზე. ერეკლე წინდაწინ ააყრენინებს ხიდს და დაამარცხებს თათრებს.

ჩაიწერა ილია მაისურაძემ
1937 წელს.
ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. N3139

კულტურა

ერთვნული კონკურსის ლაურეატები

მუნიციპალიტეტის მასშტაბით უკანასკნელ ხანს ხშირად გვესმის ჩვენი ახალგაზრდა თანამემამულეების წარმატებები კულტურის სფეროში. რაც იმის მაუწყებელია, რომ



მუნიციპალიტეტის მერია ამ სფეროს მუშაობის გაუმჯობესების მიზნით მნიშვნელოვან ღონისძიებებს ატარებს, პირველ რიგში აქ დასაქმებულებს ყველა პირობას უქმნის და ზრუნავს როგორც მატერიალური ბაზის, ასევე ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. ეს არაერთხელ დაამტკიცა თავიანთი წარმატებული გამოსვლებით მუნიციპალიტეტის მასშტაბით გამართულ მრავალ ღონისძიებაში ა(ა)იპ ასპინძის ვალერიან მაღრაძის სახელობის სამუსიკო სკოლამაც.

ამ დღეებში ქ. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში ხელოვანთა კავშირის ორგანიზებით მე-16 ერთვნული კონკურსი „მომავლის ვარსკვლავები'' ჩატარდა.

აღნიშნულ ფესტივალზე მონაწილეობას ღებულობდნენ აღნიშნული სკოლის მოსწავლეები საბა და ირაკლი მელიქიძეები – პედაგოგი ხათუნა გელაშვილი. და აი, სასიხარულო ფაქტის მოწმენი გავხდით: მე-16 ერთვნული კონკურსში I ადგილი დაიკავეს და ლაურეატის წოდება მიიღეს ასპინძის სამუსიკო სკოლის წარგზავნილებმა. ეს წარმატება კი ერთნაირად ეკუთვნის როგორც მის პედაგოგს, ასევე მთელ სამუსიკო სკოლის პედკოლექტივსაც.

ასპინძის მუნიციპალიტეტის მერია ულოცავს ამ წარმატებას ასპინძის ვ.მაღრაძის სახელობის სამუსიკო სკოლას, პედაგოგ ხათუნა გელაშვილს და მის მოსწავლეებს საბა და ირაკლი მელიქიძეებს ამ დიდ წარმატებას და ვიმედოვნებთ, რომ მომავალშიც არაერთხელ გავხდებით მათი და სხვა ასპინძელი მოსწავლეების წარმატებების მომსწრეები.

სასპორტო ცხოვრება

მარიამ ფოცხვერაშვილი ჩემპიონია!

ყოველი ახალი წარმატება, რაც დაკავშირებულია ნებისმიერ ასპარეზობაზე მოასპარეზე ასპინძელთან, დიდ სიხარულს იწვევს თითოეულ ჩვენთაგანში და, რაც მთავარია, იმედის მომცემია, რომ მომავალში მას მიმბაძველები გამოუჩნდებიან და წაახალისებს თითოეულ მათგანს მომავალ ასპარეზობაში და გაახარებენ როგორც ოჯახის წევრებს, აღმზრდელებს, ასევე ერთგულ თაყვანისმცემლებს.

ბევრ ასპინძელს, გვჯერა, კარგად გააცნო საკუთარი თავი თავისი მიღწევებით ჩვენმა ახალგაზრდა თანამემამულემ, ასპინძის საჯარო სკოლის მოსწავლემ მარიამ ფოცხვერაშვილმა.

22-23 აპრილს ქ. გორში, საქართველოს ჩემპიონატი ძიუდოში 2003 - 2005 წლებში ახალგაზრდებს შორის ჩატარდა. აღნიშნულ ჩემპიონატში ა(ა)იპ სასპორტო გაერთიანების სპორტსმენმა მარიამ ფოცხვერაშვილმა კიდევ ერთხელ იასპარეზა და მეორედ, ამჯერად – 52 კილოგრამ წონით კატეგორიაში I ადგილი მოიპოვა. მარიამმა ხუთი შეხვედრიდან ხუთივე იპონით დაასრულა.

ეს გამარჯვება მიღწეული იქნა უპირველესად მონდომებული, მიზანსწრაფული, დიდი შრომის შედეგად. უნდა ითქვას, – ეს გამარჯვება მასთან ერთად ეკუთვნის მის მწვრთნელს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს, არაერთი მოჭიდავის აღმზრდელს გოდერძი ველიჯანაშვილს, რომელმაც დაამტკიცა, რომ მწვრთნელზე დიდად არის დამოკიდებული ნებისმიერი წარმატება. ასპინძის მუნიციპალიტეტის მერია ულოცავს ა(ა)იპ სასპორტო გაერთიანებას, ძიუდოს მწვრთნელს გოდერძი ველიჯანაშვილს მარიამ ფოცხვერაშვილის მიღწეულ წარმატებასა და საქართველოს ძიუდოს გოგონათა ახალგაზრდულ ნაკრებში მის მოხვედრას.

პირველობა ნარდში

ამ დღეებში ასპინძის კულტურის ცენტრის ფოიეში ჩატარდა „მუნიციპალური პირველობა ნარდში". აღნიშნულ პირველობაზე მონაწილეობდნენ ასპინძის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ნარდის მოყვარულები, როგორ მამაკაცები ასევე ქალები. ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ საპრიზო ადგილზე გასული მონაწილეები თასებით, სიგელებით და შესაბამისი ხარისხის მედლებით დააჯილდოვა. ღონისძიება ჩატარდა ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახურის ორგანიზებით.

ინფორმაციები მოგვაწოდა ასპინძის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო განყოფილების უფროსმა ეკა კალაიჯიშვილმა

რედკოლეგია